საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის
1996 წლის 16 მაისის N 234 დადგენილებით

კონვენცია 105

კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მოწვეული და ჟენევაში 1957 წლის 5 ივნისს თავის მეორმოცე სესიაზე შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელმაც

განიხილა საკითხი იძულებითი შრომის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტს,

ითვალისწინებს იძულებითი შრომის შესახებ 1930 წლის კონვენციის დებულებებს,

მხედველობაში იღებს, რომ 1926 წლის კონვენცია მონობის შესახებ ითვალისწინებს, რომ მიღებული იქნება აუცილებელი ღონისძიება იმისათვის, რომ სავალდებულო ან იძულებითმა შრომამ არ მიგვიყვანოს მონობის ანალოგიურ პირობებამდე: და რომ 1956 წლის დამატებითი კონვენცია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ, ითვალისწინებს ვალის კაბალის და ბატონყმური დამოკიდებულების მთლიან გაუქმებას,

მხედველობაში იღებს, რომ 1949 წლის კონვენცია შრომის ანაზღაურების დაცვის შესახებ ითვალისწინებს ხელფასის დროულ გადახდას და კრძალავს შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემის გამოყენებას, რომელიც ზღუდავს მშრომელთა სამუშაოდან წასვლის რეალურ შესაძლებლობას,

დაადგინა, მიიღოს დამატებითი წინადადებები იძულებითი ან სავალდებულო შრომის ზოგიერთი სახეობის გაუქმების თაობაზე, რომლებიც გამოცხადებულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში მოხსენებულია როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა,

გადაწყვიტა, მისცეს ამ წინადადებებს, საერთაშორისო კონვენციის ფორმა,

იღებს ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ოცდახუთ ივნისს კონვენციას, რომელსაც ეწოდება 1957 წლის კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ.

მუხლი 1.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, ვალდებულებას იღებს გააუქმოს იძულებითი ან სავალდებულო შრომა და არ გამოიყენოს მისი რომელიმე ფორმა:

ა) როგორც პოლიტიკური ზემოქმედების ან აღზრდის საშუალება ან დასჯის ღონისძიება დადგენილი პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური სისტემის საწინააღმდეგო პოლიტიკური შეხედულებების ან იდეოლოგიური მრწამის არსებობისას ან გამოხატვისას.

ბ) როგორც ეკონომიკური განვითარების საჭიროებისათვის, სამუშაო ძალის მობილიზაციისა და გამოყენების მეთოდი.

გ) როგორც შრომის დისციპლინის დაცვის საშუალება.

დ) როგორც დასჯის საშუალება გაფიცვაში მონაწილეობისათვის.

ე) როგორც დისკრიმინაციის საშუალება რასობრივი, სოციალური და ეროვნული ნიშნებისა ან სარწმუნოების მიხედვით.

მუხლი 2.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, ვალდებულია მიიღოს ამ კონვენციის I მუხლში ჩამოთვლილი იძულებითი ან სავალდებულო შრომის სახეების დაუყოვნებლივი და სრული გაუქმების ღონისძიებები.

მუხლი 3.

ამ კონვენციის ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრირებისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 4.

1. ეს კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა დოკუმენტები რატიფიცირების შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის თორმეტ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი რეგისტრირებას გაუკეთებს ორგანიზაციის ორი წევრის დოკუმენტებს რატიფიცირების შესახებ.

3. შემდგომში ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის თითოეული წევრის მიმართ თორმეტ თვეში რატიფიცირების შესახებ მისი დოკუმენტის რეგისტრირების თარიღიდან.

მუხლი 5.

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, მისი ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, შეუძლია მისი დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი და მის მიერ რეგისტრირებული დენონსირების აქტის საფუძველზე. დენონსირება ძალაში შედის დენონსირების აქტის რეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის თითოეული წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, რომელიც წინა პუნქტში ხსენებული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთწლიან ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსირების უფლებით, დაკავშირებული იქნება მომდევნო ათწლიანი პერიოდით და შემდგომში შეეძლება ამ კონვენციის დენონსირება .ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლში დადგენილი წესით.

მუხლი 6.

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი აუწყებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული ყველა დოკუმენტის რატიფიცირების და დენონსირების აქტების რეგისტრირების შესახებ.

2. გენერალური დირექტორი, რომელიც აუწყებს ორგანიზაციის წევრებს რატიფიცირების მეორე დოკუმენტის რეგისტრირების თაობაზე, მათ ყურადღებას ამახვილებს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე.

მუხლი 7.

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი, თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს რეგისტრირებისათვის უგზავნის სრულ ცნობებს მის მიერ წინა მუხლის დებულებების შესაბამისად რეგისტრირებული ყველა დოკუმენტის რატიფიცირებისა და დენონსირების აქტის შესახებ.

მუხლი 8.

ყოველთვის, როდესაც შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ჩათვლის საჭიროდ, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და წყვეტს, შეტანილ იქნეს თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის საკითხი.

მუხლი 9.

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელშიც მთლიანად ან ნაწილობრივ იქნება გადასინჯული ეს კონვენცია და თუ ახალ კონვენციაში არ იქნება გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:

ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება ითვალისწინებს ავტომატურ, მე-5 მუხლის დებულებების მიუხედავად, ამ კონვენციის იმავდროულ დენონსირებას იმ პირობით, რომ ძალაში შედის ახალი, გადასინჯული კონვენცია.

ბ) ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ეს კონვენცია დახურულია სარატიფიკაციოდ ორგანიზაციის წევრებისათვის.

გ) ეს კონვენცია ყველა შემთხვევაში ძალაში რჩება ფორმითა და შინაარსით ორგანიზაციის იმ წევრების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება.

მუხლი 10.

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს ერთნაირი ძალა აქვთ.

- - - - - - - - - - - -

ძალაში შესვლის თარიღი: 1959 წლის 17 იანვარი.